



პრეს რელიზი 18/266  
გავრცელდეს დაუყოვნებლივ  
28 ივნისი, 2018

საერთაშორისო სავალუტო ფონდი,  
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი,  
20431, აშშ

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაასრულა 2018 წლის კონსულტაცია საქართველოსთან, შეთანხმების მეოთხე მუხლის მიხედვით**

ამა წლის 27 ივნისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ს) აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაასრულა საქართველოსთან კონსულტაცია შეთანხმების მეოთხე მუხლის მიხედვით<sup>1</sup>

გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ პერიოდში საქართველოში პოზიტიური მაკროეკონომიკური ვითარება იყო. საქართველოს ზრდის ტემპი აღემატებოდა შესადარი ქვეყნების ზრდის ტემპს. ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო გაძლიერდა, ინფლაცია მოთოკილი, ხოლო ფისკალური დეფიციტი კარგად იმართებოდა. საბანკო სექტორი იყო სტაბილური. გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი გაუფასურების მიუხედავად, ქვეყნის უცხოური ვალუტის რეზერვი გაიზარდა. ორწლიანი დაბალი ზრდის ტემპის შემდეგ, რაც თავისმხრივ რეგიონში 2014 შემდეგ სუსტ ზრდას უკავშირდებოდა, ზრდის ტემპმა მოიმატა და საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოზიცია გაძლიერდა. საგარეო მოთხოვნისა და მოხმარების ზრდის ფონზე, 2017 წელს მშპ რეალურ განზომილებაში 5 პროცენტით გაიზარდა. ინფლაციამ 2017 წლის შუაში 6.7 პროცენტს მიაღწია, მაგრამ 2018 წლის აპრილისთვის მნიშვნელოვნად დაიკლო 2.5 პროცენტამდე, როგორც კი ერთჯერადი ფაქტორების (აქციზის ზრდის) გავლენა ფასების ცვლილებაზე გაილია. შემოსავლების მობილიზების ღონისძიებების, მაღალი ზრდის და მიმდინარე ხარჯების შეზღუდვის ფონზე, 2017 წლის ფისკალური მაჩვენებლები სტაბილური იყო და სახელმწიფო ინვესტიციების აჩქარების საშუალებას იძლეოდა. ექსპორტის, ტურიზმის და გადმორიცხვების ზრდამ შესაძლებელი გახადა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება მშპ-ს 8.7 პროცენტამდე. წმინდა უცხოურმა ინვესტიციებმა 2017 წელს მშპ-ს 10.5 პროცენტი შეადგინა. საგარეო ვალი, რომელიც ძირითადად შეღავათიანი პირობითაა ნასესხები, კვლავც მაღალია და მშპ-ს 96 პროცენტს შეადგენს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კომპანიათაშორის სესხებს.

ახლო მომავლის პროგნოზი გაუმჯობესებულია და ფაქტიური გამოშვება პოტენციურ გამოშვებას სავარაუდოდ 2019-2020 წლებში გაუთანაბრდება (გამოშვების გეპი დაიხურება). საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია ზრდის ზომიერი აჩქარება და საგარეო მოწყვლადობის შემცირება სტრუქტურული რეფორმების შედეგად. ამ პროგნოზის გარშემო არსებული რისკები დაბალანსებულია. პოზიტიური რისკები მომდინარეობს ადგილობრივი და საგარეო მოთხოვნის

<sup>1</sup> სსფ-სა და საქართველოს შორის შეთანხმების ხელშეკრულების მეოთხე მუხლი განსაზღვრავს, რომ სსფ ჩაატარებს ქვეყნის ეკონომიკის მიმოხილვას, წელიწადში ერთხელ. ამ მიმოხილვის ფარგლებში კონსულტაციების ჩასატარებლად ქვეყანას ეწვევა სსფ-ს ეკონომისტთა ჯგუფი, მოაგროვებს ინფორმაციას ეკონომიკის და საფინანსო სექტორის ვითარებაზე და ქვეყნის ხელისუფლებასთან განიხილავს ეკონომიკის მდგომარეობას და პოლიტიკას. ცენტრალურ ოფისში დაბრუნებისას, სსფ-ს ჯგუფი მოამზადებს ანგარიშს, რაც შემდეგ წარედგინება აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს განსახილველად.

შესაძლო ზრდიდან, რაც, სტრუქტურული გამოწვევების ფონზე, შეიძლება მოთხოვნასთან დაკავშირებულ დაწოლაში გადაიზარდოს და ეკონომიკური პოლიტიკის გამკაცრება გახდეს საჭირო. სტრუქტურული რეფორმების შედეგად შეიძლება ზრდა ამჟამად მოსალოდნელზე უფრო ასწრაფდეს. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, რომ საქართველო მოწყვლადია რეგიონში და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების მიმართ. წამყვანი ეკონომიკების სუსტი ზრდა და საერთაშორისო ინტეგრაციის ტემპის შემცირება შეასუსტებს ექსპორტის დივერსიფიცირების პოზიტიურ შედეგებს.

პოზიტიური მაკროეკონომიკური გარემო საქართველოს შესაძლებლობას აძლევს განახორციელოს რეფორმები რომელიც გაზრდის ქვეყნის ეკონომიკის მედეგობას გარეშე შოკების მიმართ და ხელს შეუწყობს მაღალ და ინკლუზიურ ზრდას, ისე, რომ დაცული იყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ქვეყნის ხელისუფლება ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების იდეის ერთგულია, რაც, შემოსავლებისა და გადასახადების ზრდის შეზღუდვის ფონზე, მიიღწევა მიმდინარე ხარჯების მოთოკვით, რადგან იქმნება სახელმწიფო ინვესტიციების დაფინანსების საშუალება. საშუალოვადიან პერიოდში საჭირო ხდება განათლების რეფორმის დაფინანსება, რაც მოხერხდება საინვესტიციო ხარჯების შეზღუდვის პარალელურად. ფისკალური რისკების შეზღუდვის მიზნით, ხელისუფლებამ გადადგა გადამყვტი ნაბიჯები და გაზარდა ფისკალური რისკების განაცხადის მოცულობა და დახვეწა დღგ-ს ანაზღაურების სისტემა. ხელისუფლება განაგრძობს მონეტარული და საფინანსო ჩარჩოს დახვეწას კრიზისების მართვის სისტემის გაუმჯობესებით, კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობით, დედოლარიზაციის აქტიური წახალისებით. ხელისუფლება განაგრძობს ამბიციური სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას, რაც ხელს ისეთ ზრდას, რომლის მამოძრავებელი კერძო სექტორია, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ეკონომიკის დივერსიფიცირებას და სამუშაო ადგილების შექმნას.

### სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა შეფასება<sup>2</sup>

„აღმასრულებელი დირექტორები დაეთანხმნენ სსფ-ს მისიის წარდგენილ შეფასებას. მათ მოიწონეს საქართველოს ეკონომიკური პროგრესი სსფ-ს პროგრამის ფარგლებში, პოზიტიური საგარეო გარემოს და გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის ფონზე, რამაც გაზარდა რწმენა და გააძლიერა ეკონომიკური ზრდა. დირექტორებმა აღნიშნეს, რომ პოზიტიური მაკროეკონომიკური პერსპექტივისა და დაბალანსებული რისკების მიუხედავად საქართველო კვლავ მოწყვლადია საერთაშორისო შოკების მიმართ, მათ შორის სავაჭრო პარტნიორებში საბაზრო მოთხოვნების ცვალებადობის მიმართ. მათ აღნიშნეს, რომ გონივრული პოლიტიკის ერთგულება და სტრუქტურული რეფორმების შემდგომი განხორციელება აუცილებელია მიღწეული შედეგების შესანარჩუნებლად და დარჩენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად, რათა ზრდა ასწრაფდეს და იყოს მეტად ინკლუზიური.

დირექტორები მიესალმებიან ხელისუფლების ერთგულებას გონივრული ფისკალური პოლიტიკის მიმართ ფისკალური მდგრადობის შესანარჩუნებლად და ფისკალური საიმედოობის გასაზრდელად. ისინი მიესალმებიან მიმდინარე ხარჯების შეზღუდვას, შემოსავლების

<sup>2</sup> განხილვის დასრულებისას, მმართველი დირექტორი, როგორც სხდომის თავმჯდომარე, შეაჯამებს აღმასრულებელ დირექტორთა მოსაზრებებს და ეს შეჯამება წარედგინება ქვეყნის ხელისუფლებას. დამატებითი ინფორმაცია დირექტორთა შეჯამების ფორმატზე იხილეთ აქ: <http://www.imf.org/external/np/sec/misc/qualifiers.htm>.

ადმინისტრირების გაუმჯობესებას, რაც სახელმწიფო ინვესტიციების, დღგ-ს ზედმეტობების დაბრუნების და ფისკალური დეფიციტის შემცირების შესაძლებლობას იძლევა. დირექტორებმა მოიწონეს ფისკალური რისკების ანგარიშის მოცულობის ზრდა, სადაც მეტი ფისკალური რისკია აღწერილი. ფისკალური რისკები კვლავ მაღალია და ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების საქმიანობას და ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებს უკავშირდება. ისინი მიესალმნენ გამჭვირვალობის ზრდის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს და რისკების მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას. დირექტორებმა მხარი დაუჭირეს ფისკალური წესების დახვეწას, ფისკალური მართვისა და ანგარიშვალდებულებების გაუმჯობესებას.

დირექტორებს მიაჩნიათ, რომ მონეტარული პოლიტიკა მართებულად არის მიმართული ფასების სტაბილურობაზე, მოქნილი გაცვლითი კურსის პირობებში, სადაც სავალუტო ბაზარზე ჩარევა მხოლოდ ზედმეტი რყევების შესასუსტებლად და რეზერვების დასაგროვებლად ხდება. მათ მხარი დაუჭირეს ინფლაციის ტარგეტირების ჩარჩოს გაძლიერებას ლიკვიდურობის მართვის და კომუნიკაციის გაძლიერების გზით. დირექტორებმა მოიწონეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები ფინანსური ზედამხედველობისა და რეგულირების ჩარჩოს დახვეწის მიმართულებით, მათ შორის FSAP -ის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ჭარბვალუანობასთან დაკავშირებული შემოთვლების გათვალისწინებით, მათ მხარი დაუჭირეს მოსახლეობისთვის კრედიტის შეზღუდვის ღონისძიებებს პრუდენციული ფინანსური პოლიტიკის გზით. დირექტორები მიესალმებიან ეკონომიკის თანდათანობით დედოღარიზაციას, რაც მონეტარული პოლიტიკის მიმართ რწმენის ზრდის მაჩვენებელია და მიუთითებს, რომ ინფლაციის მოლოდინი სწორად არის მართული. მათ აღნიშნეს, რომ კრიზისის პირობებში მართვის ჩარჩო უნდა მიესადაგოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას; სტრესის მართვის გზები უნდა დაიხვეწოს, მათ შორის, ლიკვიდურობის მიწოდების და ბანკების რეზოლუციის პროცედურები.

დირექტორებმა მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას არსებული ეკონომიკური აღმასვლის ფონზე გაატარონ რეფორმები, რომელიც გაზრდის საქართველოს მედეგობას საერთაშორისო შოკების მიმართ, ასევე დააჩქარებს ზრდას და გახდის მას მეტად ინკლუზიურს, რომლის მამოძრავებელი კერძო სექტორი იქნება. ამ კონტექსტში მათ ყურადღება გაამახვილეს ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებაზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, განათლების, ჯანდაცვის ბაზრის რეფორმაზე, და კონკურენტუნარიანობის მატებაზე. დირექტორები მიესალმნენ საქართველოს ძალისხმევას ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების, ექსპორტის დივერსიფიცირების კუთხით, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერის გზით. მათ აღნიშნეს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიმართვა ექსპორტის პოტენციალის მქონე სექტორებში აუცილებელია კონკურენტუნარიანობის და ზრდის წასახალისებლად.

სსფ-ს შეთანხმების მეოთხე მუხლის მიხედვით საქართველოს ეკონომიკის შემდგომი მიმოხილვა, სავარაუდოდ აღმარულულებელ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით ჩატარდება, მიმდინარე პროგრამის მქონე ქვეყნებთან კონსულტაციების ციკლის გათვალისწინებით.“

## საქართველო: ზოგი ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებელი, 2015–19

	2015	2016	2017	2017	2018	2018	2019
	ფაქტიური		სსფ-ს ანგარიში 17/361 <sup>1/</sup>	წინას წარი	სსფ-ს ანგარიში 17/361 <sup>1/</sup>	პროგნოზი	
ეროვნული ანგარიშები და ფასები							
რეალური მშპ	2.9	2.8	4.3	5.0	4.2	4.8	4.8
ნომინალური მშპ (მილიარდი ლარი)	31.8	34.0	37.3	38.0	40.1	41.4	44.8
ნომინალური მშპ (მილიარდი აშშ დოლარი)	14.0	14.4	15.0	15.2	16.3	16.9	18.3
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ათასი აშშ დოლარი)	3.8	3.9	4.1	4.1	4.4	4.5	4.9
მშპ დეფლატორი, პერიოდის საშუალო	5.9	4.2	5.4	6.5	3.4	3.8	3.3
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის საშუალო	4.0	2.1	5.8	6.0	2.8	2.8	2.9
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლო	4.9	1.8	5.6	6.7	3.2	2.7	3.0
ინვესტიციები და დანაზოგი							
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	19.5	19.9	20.6	23.2	22.5	25.5	26.0
ინვესტიციები	31.5	32.7	31.0	31.9	33.1	34.7	35.2
სახელმწიფო	5.6	5.0	5.8	6.1	6.5	6.8	7.4
კერძო	25.9	27.7	25.2	25.8	26.6	27.9	27.7
მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსები							
შემოსავლები და გრანტები	28.1	28.3	28.9	29.0	28.6	27.9	27.3
მ.შ. საგადასახადო შემოსავლები	25.1	25.7	25.9	26.0	25.6	25.0	24.7
ხარჯები	32.0	32.5	33.0	32.7	32.0	31.1	31.0
მიმდინარე ხარჯები	25.0	26.0	24.7	24.2	24.0	23.1	22.5
კაპიტალური ხარჯები და ბიუჯეტის გაცემული სესხი	7.0	6.5	8.3	8.5	8.1	7.9	8.5
წმინდა დაკრედიტება/სესხება (GFSM 2001)	-1.3	-1.6	-1.1	-0.5	-1.5	-1.6	-1.5
მოდიფიცირებული წმინდა დაკრედიტება/სესხება (დეფიციტი პროგრამის განმარტებით) 2/	-2.7	-3.0	-3.6	-2.9	-3.0	-2.8	-2.6
სახელმწიფო ვალი	41.4	44.4	42.3	44.9	42.7	42.8	43.5
მ.შ. სესხ-ის ვალი სსფ-ს მიმართ	...	...	0.5	0.6	1.0	0.5	1.0
მ.შ. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალი	32.5	35.1	33.1	35.6	34.0	33.2	33.1
ფინანსები და კრედიტი							
კერძო სექტორზე გაცემული სესხი (წლიური ზრდა, %)	22.1	19.6	10.1	17.6	14.3	14.1	10.6
მუდმივი გაცვლითი კურსით	4.3	12.0	15.5	20.1	14.3	18.0	10.7
ფართო ფული (წლიური ზრდა, %)	19.2	20.4	9.8	14.8	15.0	12.6	11.0
ფართო ფული (მ.შ. უცხ. დეპოზიტ., წლიური ზრდა, %)	23.4	19.1	7.9	13.7	13.4	10.5	10.0
მუდმივი გაცვლითი კურსით	5.1	13.3	14.7	16.9	15.0	16.2	11.1
დეპოზიტების დოლარიზაცია (მთლიანის %)	66.8	69.9	64.8	63.7	64.1	59.7	57.5
სესხების დოლარიზაცია (მთლიანის %)	63.1	64.6	54.7	56.1	54.1	50.7	48.3
სესხების წილი მშპ-ში	49.2	54.9	55.3	57.8	58.5	60.6	61.9
საგარეო სექტორი							
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი	-12.0	-12.8	-10.4	-8.7	-10.6	-9.2	-9.2
სავაჭრო დეფიციტი	-28.1	-26.9	-25.8	-25.3	-26.4	-27.2	-27.1
ვაჭრობა	100.0	98.9	99.1	96.1	99.3	94.3	94.5
მთლიანი საერთაშორისო რეზერვი (მილიარდი აშშ \$)	2.5	2.8	3.2	3.0	3.4	3.3	3.6
სსფ-ს საზომის მიმართ, % (ცვალებადი)	89.9	90.9	93.3	90.1	95.2	93.3	98.8
მთლიანი საგარეო ვალი	107.6	109.3	106.9	112.8	106.4	107.9	107.9
მთლიანი საგარეო ვალი, კომპანიათაშორის სესხების გამოკლებით	86.1	91.8	87.4	95.6	86.5	90.9	90.6
ლარი/აშშ დოლარის გაცვლის კურსი (საშუალო)	2.27	2.37	2.5	2.51	...	...	...
ლარი/ევროს გაცვლის კურსი (პერიოდის საშუალო)	2.52	2.62	2.8	2.83	...	...	...
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (პერიოდის საშუალო, სფი-ს ბაზაზე, 2010=100)	104.0	107.5	...	...	...	...	...

წყარო: საქართველოს ხელისუფლება და ფონდის თანამშრომელთა შეფასებები.

1/ სსფ-ს მისიის ანგარიში პროგრამის პირველი მიმოხილვისთვის

2/ მოდიფიცირებული წმინდა დაკრედიტება/სესხება (დეფიციტი პროგრამის განმარტებით) = წმინდა დაკრედიტება/სესხება - ბიუჯეტის მიერ გაცემული სესხები.